



# წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. წაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.  
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



# წაკითხულის გააზრება

I ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

# ტექსტი №1

I ეპიკური ჟანრის ძველი ბერძნული პოემების – „ილიადასა“ და „ოდისეას“ – კვლევაში ძირითად პრობლემას ამ პოემათა ერთიანობის საკითხი ქმნის, რომელიც იმის გარკვევას გულისხმობს, ეს პოემები ერთმა პოეტმა ერთი პოეტური კონცეფციით შექმნა, თუ ისინი სხვადასხვა დროს მოღვაწე სხვადასხვა პოეტის ნაწარმოებების გაერთიანებას წარმოადგენს.

II მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთში ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული დიდი ყურადღება ეთმობოდა ჰომეროსის ბიოგრაფიისა და მისი პოემების ცალკეულ პრობლემათა შესწავლას, უძველეს ბერძენ ავტორებს ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ არც პოემების ერთიანობისა და არც ჰომეროსის ავტორობის საკითხი. ანტიკურ ეპოქაში **არისტოტელესთან** არის წარმოდგენილი ჰომეროსის პოემების ერთიანობის საიდუმლოს ამოხსნის ყველაზე ოპტიმალური გზა. არისტოტელეს მიხედვით, „ილიადას“ ფაბულა ერთიანია, რადგან მასში მოქმედებები და მოვლენები ორგანულად გამომდინარეობს ერთმანეთისაგან. ისინი ისეა დაკავშირებული, ერთი მხრივ, ერთმანეთთან, ხოლო, მეორე მხრივ, მთელთან, რომ რომელიმე მათგანის შეცვლა გამოიწვევს მთელის დარღვევას. არისტოტელეს აზრით, სხვა ეპიკოსი პოეტები ამბავთა გადმოცემისას ისტორიოგრაფთა მსგავსად იქცეოდნენ – თავიანთ ფაბულებში სრულად აღწერდნენ გმირის ისეთ საქმეებს, რომლებიც არ გამომდინარეობდა ერთმანეთისაგან, რის გამოც მათი პოემები მოკლებული იყო დრამატულ ერთიანობას. ჰომეროსმა კი, რომელმაც თავისი პოემის – „ილიადას“ – ფაბულად ტროას ათწლიანი ომის მხოლოდ ერთი მონაკვეთი აირჩია, შეძლო, დრამატული თვალსაზრისით ერთიანად აეგო ის. ამასთან, სამოქმედო დროში ერთმანეთთან დაუკავშირებელი ეპიზოდების ჩართვით პოეტმა მოგვაწოდა დამატებითი ცნობები ტროას ომის შესახებ.

III XVII საუკუნეში აბატმა **დ'ობინიაკმა** პირველმა გამოთქვა ეჭვი ჰომეროსის ეპოსის ერთიანობასთან დაკავშირებით. მისი აზრით, თავდაპირველად არსებობდა პოემათა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაწილები – სიმღერები, რომლებიც სხვადასხვა ნიჭიერ ავტორს ეკუთვნოდა, შემდგომში კი პისისტრატოსის კომისიამ (ძვ. წ. VI ს.) კომპილაციის გზით ისინი ორ პოემად – „ილიადად“ და „ოდისეად“ – შეკრა. დ'ობინიაკი კომისიას მიაწერდა დამატებითი ნაწილების შეთხზვასაც, რომლებიც მხატვრულობის თვალსაზრისით ადრე შეთხზულ სიმღერებს ჩამორჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დ'ობინიაკის შეხედულებები არ იყო კარგად არგუმენტირებული, მან თავისი ნაშრომით საფუძველი დაუდო „ილიადასა“ და „ოდისეას“ მრავალავტორობის საკითხს, ანუ ე. წ. ანალიტიკურ თეორიას.

*ტექსტის გაგრძელება ->*

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

IV ჰომეროსის პოემათა ღრმა ფილოლოგიური შესწავლა ამ სკოლის წარმომადგენლის, გერმანელი მკვლევრის, ვოლფის სახელთან არის დაკავშირებული. ვოლფი მიიჩნევდა, რომ მსგავსი პოემების შექმნა დამწერლობის გარეშე შეუძლებელი იყო. რადგანაც მის დროს ჰომეროსის მოღვაწეობის ხანად ძვ. წ. X-IX საუკუნეებს ვარაუდობდნენ, უძველეს ბერძნულ წარწერებს კი ძვ. წ. VII საუკუნით ათარილებდნენ, „ილიადა“ და „ოდისეა“ არ შეიძლებოდა, ჰომეროსის ეპოქაში ყოფილიყო შექმნილი. ვოლფი პოემებში სხვადასხვა დროის პოეტთა, მათ შორის, ჰომეროსის ეპიკური ნაწილების არსებობას ამტკიცებდა, რომელთა ერთიან პოემებად ჩამოყალიბება შეუძლებელია, პისისტრატოსის კომისიის საქმიანობაზე ადრე მომხდარიყო.

V ანალიტიკური თეორიები XX საუკუნის დასაწყისში საფუძვლიანად გადასინჯა ვილამოვიცმა. მან „ილიადა“ წარმოადგინა სხვადასხვა ხასიათისა და დროის მცირე ეპიკური თხზულებების გაერთიანების შედეგად მიღებული დიდი ეპოსის („წინარე-ილიადას“) და შემდეგ მასში დამატებით შეტანილი ცალკეული სიმღერების ერთიანობად. ამასთან, ვილამოვიცი არ გამორიცხავს ჰომეროსის არსებობას და სწორედ ამ პოეტს მიაწერს ჩვენამდე მოღწეული „ილიადას“ საბოლოო ჩამოყალიბებას. მართალია, ჰომეროსმა გამოიყენა სხვადასხვა პოეტური ნაწარმოებები და ფრაგმენტები, მაგრამ, ვილამოვიცის მიხედვით, მას პოემა სხვადასხვა ნაწილების შეკოწიწებით არ შეუქმნია. პოემა, მეცნიერის აზრით, ჩინებულად არის აგებული იმისდა მიუხედავად, რომ მრავალი ადგილი სხვა პოეტებისაგან მომდინარეობს. თავისი კვლევებით ვილამოვიცმა ბიძგი მისცა ჰომეროლოგიაში უნიტარისტული მიმართულების განვითარებას, რომელიც „ილიადას“ და „ოდისეას“ ავტორად ერთ პოეტს – ჰომეროსს – აღიარებს.

VI ნამდვილი გარდატეხა ჰომეროლოგიაში 1938 წლიდან დაიწყო, როდესაც გამოვიდა შადევალტის წიგნი „ნარკვევები ილიადას შესახებ“. მეცნიერმა ცალკეულ სიმღერათა დეტალური ანალიზის საფუძველზე დაადგინა მნიშვნელოვანი კანონზომიერება: „ილიადაში“ ერთმანეთისაგან შინაარსობრივად ყველაზე უფრო დაშორებული ადგილებიც კი კომპოზიციურად ერთიანია, ორგანულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ამგვარი ანალიზით შადევალტმა გამორიცხა „ილიადას“ ჩამოყალიბებაში კომპილატორთა და სხვადასხვა დროს მოღვაწე პოეტ-ინტერპოლატორთა როლი, რომლებიც საკუთარი ჩანართებით ავსებდნენ პოემას. შადევალტი „ილიადას“ შემქმნელად ჰომეროსს აღიარებს, თუმცა მიიჩნევს, რომ ჰომეროსმა გამოიყენა ადრეული ეპიკური ფორმები და ისინი საკუთარი პოეტური კონცეფციის საფუძველზე გადაამუშავა.

VII უკანასკნელ ათწლეულებში ჰომეროსის პოემათა ერთიანობის კვლევის სფეროში აშკარად დომინირებს უნიტარისტული მიმართულება, თუმცა მეცნიერთა ერთი ნაწილი არ გამორიცხავს „ილიადას“ ანალიტიკური თეორიის პოზიციიდან ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

1. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) დაასაბუთოს უნიტარისტული თეორიის უპირატესობა ანალიტიკურ თეორიასთან შედარებით.
- (ბ) წარმოადგინოს „ილიადასა“ და „ოდისეას“ ერთიანობისა და ავტორობის საკითხთან დაკავშირებული კონცეფციები.
- (გ) გააბათილოს ეჭვი, რომელიც არსებობს ჰომეროლოგიაში „ილიადასა“ და „ოდისეას“ ერთიანობასთან დაკავშირებით.
- (დ) აჩვენოს, რომ ჰომეროსის პოემათა ერთიანობის საკითხი უძველესი დროიდან წარმოადგენს კვლევის საგანს.
- (ე) „ილიადასა“ და „ოდისეას“ მაგალითზე აჩვენოს ეპიკური პოემის ჩამოყალიბების ეტაპები.

2. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს II აზნაციდან?

არისტოტელეს მიხედვით,

- (ა) გმირის მიერ ჩადენილი ყველა საქმის აღწერა საკმარისი პირობაა ერთიანი ფაბულის ასაგებად.
- (ბ) თხზულებას, რომელშიც ვრცელი ამბის მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი, შეიძლება ჰქონდეს ერთიანი ფაბულა.
- (გ) ზოგიერთი პოეტი ვერ ახერხებს თავისი პოემის ეპიკური ფაბულის დრამატულ ერთიანობაში წარმოდგენას.
- (დ) ეპიკურ ნაწარმოებში სამოქმედო დროში ერთმანეთთან დაუკავშირებელი ეპიზოდების ჩართვა ყოველთვის არ არღვევს ფაბულის ერთიანობას.
- (ე) ისტორიოგრაფების მიერ გადმოცემული ამბები დრამატულ ერთიანობას არის მოკლებული.

3. რა მიმართებაშია ვილამოვიცის კონცეფცია ანალიტიკური თეორიის მიმდევართა – დ'ობინიაკისა და ვოლფის – შეხედულებებთან?

(ა) ვილამოვიცს მთლიანად აქვს გაზიარებული ანალიტიკური თეორიის მიმდევართა შეხედულებები.

(ბ) ვილამოვიცმა გამორიცხა ჰომეროსის არსებობა, რითაც ანალიტიკურ თეორიას დაუპირისპირდა.

(გ) ვილამოვიცი დაუპირისპირდა ანალიტიკური თეორიის მიმდევრებს იმით, რომ მან „ილიადას“ ერთადერთ ავტორად ჰომეროსი აღიარა.

(დ) ანალიტიკური თეორიის მიმდევრებისაგან განსხვავებით, ვილამოვიცმა მიიჩნია, რომ „ილიადას“ საბოლოო ჩამოყალიბება ჰომეროსს უკავშირდება.

(ე) ვილამოვიცი დაუპირისპირდა ანალიტიკური თეორიის მიმდევრებს იმით, რომ „ილიადა“ კომპილაციურ თხზულებად მიიჩნია.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

4. რა არგუმენტებს ეყრდნობოდნენ ანალიტიკური თეორიის მიმდევრები იმის დასამტკიცებლად, რომ „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი პოეტი, ჰომეროსი?

- I. დამწერლობის გარეშე ამ პოემათა შექმნა შეუძლებელი იქნებოდა.
- II. არც „ილიადა“ და არც „ოდისეა“ მხატვრულობის თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ არის.
- III. „ილიადაში“ წარმოდგენილი ეპიზოდები ორგანულად არ არის დაკავშირებული „ოდისეაში“ გადმოცემულ ამბებთან.

მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ III
- (გ) მხოლოდ I და II
- (დ) მხოლოდ I და III
- (ე) მხოლოდ II და III



5. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) შადევალტი არ გამორიცხავს „ილიადას“ ჩამოყალიბებაში ინტერპოლატორთა და კომპილატორთა მონაწილეობას.
- (ბ) შადევალტისათვის „ილიადას“ კომპოზიციური მთლიანობა მის შემქმნელად ერთი ავტორის, ჰომეროსის აღიარების მთავარი არგუმენტია.
- (გ) შადევალტი მიიჩნევს, რომ ჰომეროსმა „ილიადას“ ძირითადი ნაწილი სხვადასხვა პოეტური ნაწარმოებებისა და ფრაგმენტების საფუძველზე ჩამოაყალიბა.
- (დ) შადევალტი ასაბუთებს, რომ ჰომეროსმა პოემები თავდაპირველად არსებული „ილიადას“ თანდათანობითი გავრცობის გზით ჩამოაყალიბა.
- (ე) შადევალტი უარყოფს „ილიადას“ შექმნაში ადრეული ეპიკური ტრადიციის როლს.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) შადევალტის წიგნი „ნარკვევები ილიადას შესახებ“ მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენდა.
- (ბ) „ილიადას“ კომპოზიციურ მთლიანობას აღიარებდა როგორც არისტოტელე, ისე შადევალტი.
- (გ) „ილიადას“ ერთმანეთისაგან დაშორებული ნაწილების ანალიზის საფუძველზე შადევალტმა დაასაბუთა, რომ ეს პოემა ერთი ავტორის ნაწარმოებია.
- (დ) უნიტარისტული სკოლის შეხედულებები ჰომეროსის ავტორობასთან დაკავშირებით უფრო ახლოს დგას არისტოტელეს თვალსაზრისთან, ვიდრე ანალიტიკური თეორიის მიმდევართა აზრებთან.
- (ე) შადევალტის მიხედვით, ჰომეროსის პოეტური კონცეფცია მის მიერვე შექმნილ ეპიკურ ფორმაშია წარმოდგენილი.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

7. ანალიტიკური თეორიის მიმდევართა აზრით, რა როლი შეასრულა პისისტრატოსის კომისიამ ჰომეროსის პოემების შექმნაში?

- (ა) გააერთიანა მცირე ეპიკური პოემები და შეავსო ისინი დამატებითი მასალით.
- (ბ) ჰომეროსის პოემები ერთიან ფაბულაზე ააგო.
- (გ) სხვადასხვა ნიჭიერ პოეტთა მცირე ეპიკური პოემებიდან შექმნა „წინარე-ილიადა“.
- (დ) ჰომეროსის პოემებში შეიტანა ცვლილებები, რომლებმაც პოემებს მხატვრული ღირებულება შეჰმატა.
- (ე) სხვადასხვა პოეტების სიმღერათა შორის ჰომეროსის პოემების ნაწილთა იდენტიფიცირება მოახდინა.

## ტექსტი №2

თავდაპირველად განვიხილოთ მდგომარეობა, რომელშიც თითოეულ ადამიანს სრული თავისუფლება აქვს, ბუნებითი კანონების საზღვრებში თავად გადაწყვიტოს, რა აკეთოს, როგორ მოექცეს თავის საკუთრებას და სხვა ადამიანებს, თანაც საამისოდ არავის სთხოვოს ნებართვა და არავისზე იყოს დამოკიდებული. მართალია, ეს თავისუფლების მდგომარეობაა, მაგრამ ეს არ გახლავთ თვითნებობის მდგომარეობა. ადამიანს აქვს თავისუფლება, როგორც უნდა, ისე განაგოს საკუთარი თავი და საკუთრება, მაგრამ მას არ აქვს უფლება, გაანადგუროს საკუთარი თავი ან მის მფლობელობაში მყოფი რაიმე ქმნილება. ბუნებითი მდგომარეობის სამართავად არსებობს ბუნებითი კანონი, რომელიც ყველასთვის სავალდებულოა; გონება, რომელიც, ფაქტობრივად, იგივე კანონია, ასწავლის ადამიანს, რომ არავის აქვს უფლება, ხელყოს სხვისი სიცოცხლე, სხვისი ჯანმრთელობა, თავისუფლება ან საკუთრება. ამ კანონის მიხედვით, ყოველი ადამიანი დანარჩენი კაცობრიობის დაცვაზეც უნდა ზრუნავდეს. მან უნდა შეაკავოს ბოროტმოქმედი, რათა ბოროტმოქმედმა სხვისი უფლებები არ დაარღვიოს, სხვას ზიანი არ მიაყენოს; ანუ ყველა ადამიანს აქვს უფლება, ისეთი სასჯელი მიუყენოს კანონდამრღვევს, რომ კანონის დარღვევა აღიკვეთოს. მაშასადამე, ბუნებით მდგომარეობაში ადამიანს შეიძლება ძალაუფლება ჰქონდეს მეორე ადამიანის მიმართ, რომელიც ბუნებითი კანონით დაცული მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მოქმედებს. მაგრამ ეს ძალაუფლება არ შეიძლება აბსოლუტური ან თვითნებური იყოს. ის ვერ მოექცევა ბოროტმოქმედს საკუთარი გულფიცხი ვნებების მიხედვით. სასჯელის რაგვარობა განისაზღვრება იმით, რაც საჭიროა ზარალის ანაზღაურებისა და შეკავებისათვის. ამ შემთხვევაში ყველა ადამიანს აქვს უფლება, დასაჯოს დამნაშავე და ამით ბუნებითი კანონის აღმსრულებელი გახდეს, თუმცა სასჯელის რაგვარობისა და დოზის განსაზღვრა საკმაოდ რთულია და ხშირად მნიშვნელოვან საფრთხეს შეიცავს. ამიტომაც ადამიანები უარს ამბობენ ბუნებით მდგომარეობაზე და საზოგადოებას ქმნიან.

ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში ისაა, რომ არ დაემორჩილოს სხვა საკანონმდებლო ძალაუფლებას გარდა იმისა, რაც სახელმწიფოში თანხმობით მიიღება, არ დაემორჩილოს რაიმე ნებას ან შეიზღუდოს რაიმე კანონით გარდა იმისა, რასაც კანონმდებელი მიიღებს მისდამი გამოცხადებული ნდობის ფარგლებში. ხელისუფლების პირობებში მცხოვრები ადამიანის *ტექსტის გაგრძელება ->*

თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ არსებობდეს მოქმედი სახელმძღვანელო წესები, საკანონმდებლო სისტემა, რომელიც საზოგადოების ყველა წევრზე თანაბრად გავრცელდება და რასაც მისი მოქმედი საკანონმდებლო ორგანო შეასრულებს.

პოლიტიკური საზოგადოება არსებობს იქ, სადაც მისმა წევრებმა ხელი აიღეს ბუნებით უფლებაზე და გადასცეს ის საზოგადოებას ყველა იმ შემთხვევაში, როცა ადამიანს შეუძლია, დაცვა ითხოვოს საზოგადოების მიერ დადგენილი კანონების მიხედვით. ამგვარად, მას შემდეგ, რაც გამოირიცხება მისი ცალკეული წევრის პირადი მსჯავრი, მსაჯული საზოგადოება ხდება. ის განსაზღვრავს მიუკერძოებელ წესებს და გამოყოფს ადამიანებს, რომლებსაც მათი აღსრულება ევალებათ. ისინი კი კანონის მიერ დადგენილ ფარგლებში სჯიან იმ გადაცდენებს, რომლებსაც რომელიმე წევრი დაუშვებს საზოგადოების მიმართ. ამით ადვილი ხდება იმის განსაზღვრა, ვინ არის გაერთიანებული პოლიტიკურ საზოგადოებაში და ვინ არა. ისინი, ვინც ერთ სხეულადაა გაერთიანებული, ვისაც საერთო დადგენილი კანონი აქვს და შეუძლია, მიმართოს სასამართლოს, ერთმანეთთან სამოქალაქო საზოგადოების მიმართებაში იმყოფებიან. ხოლო ისინი, ვისაც არა აქვს ასეთი საერთო ინსტანცია, კვლავ ბუნებით მდგომარეობაში რჩებიან. ყოველი მათგანი საკუთარი თავის მოსამართლეცაა და აღმასრულებელიც, რაკი ამ ფუნქციას სხვა ვერავინ შეასრულებს.

პოლიტიკური საზოგადოების პირობებში სახელმწიფო იღებს ძალაუფლებას, დაადგინოს, რა სასჯელი ეკუთვნის ამა თუ იმ გადაცდენას, რომელიც დასჯის ღირსად არის მიჩნეული. ამავე დროს მას აქვს უფლება, დასაჯოს საზოგადოების გარეთ მყოფი ძალაც, რომელიც მის რომელიმე წევრს ზიანს მიაყენებს. ყოველივე ეს ემსახურება იმას, რომ საზოგადოების ყველა წევრი დაცული იყოს შესაძლებლობის ფარგლებში, რაც ამ საზოგადოების მნიშვნელოვან უპირატესობას და მიღწევას წარმოადგენს.

საკანონმდებლო ხელისუფლება აღჭურვილია უფლებით დაადგინოს, როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო ძალის გამოყენება საზოგადოებისა და მისი წევრების დასაცავად. თუ კანონშემოქმედებს ამავე დროს დაევალებათ მათი აღსრულებაც, მათ შეიძლება დიდი ცდუნება გაუჩნდეთ, კანონი თავიანთ პირად სარგებელს მოარგონ. ამის გამო კარგად მოწყობილ სახელმწიფოში, სადაც საყოველთაო ინტერესი ჯეროვნად არის გათვალისწინებული, არსებობს ძალა, რომელიც მოქმედი კანონების აღსრულებას მიხედავს. ამ ფუნქციას აღმასრულებელი ხელისუფლება ასრულებს.

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) დაასაბუთოს პოლიტიკურ საზოგადოებაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების გაყოფის აუცილებლობა.
- (ბ) მიმოიხილოს ბუნებითი კანონი – ადამიანის მიერ საკუთარი თავისა და საკუთრების განკარგვის უფლება.
- (გ) მიმოიხილოს სასჯელის განსაზღვრის მეთოდები საზოგადოების მიერ დადგენილი კანონების მიხედვით.
- (დ) აღწეროს ბუნებითი მდგომარეობიდან სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლის ეტაპები.
- (ე) ბუნებითი კანონების მიმოხილვის ფონზე წარმოაჩინოს პოლიტიკურ საზოგადოებაში მოქმედი საკანონმდებლო სისტემის რაობა.

9. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

ბუნებითი კანონის მიხედვით,

- (ა) ადამიანი ყოველთვის ადეკვატურ სასჯელს განუსაზღვრავს დამნაშავეს.
- (ბ) ადამიანი ძალაუფლებას არ ავლენს სხვა ადამიანის მიმართ.
- (გ) ადამიანის ქცევა დამოკიდებულია იმ საზოგადოების ნებაზე, რომელშიც ის ცხოვრობს.
- (დ) ადამიანს არ აქვს ვალდებულება, დაემორჩილოს სხვების ნებასა თუ მითითებებს.
- (ე) ადამიანი უფრო მეტად ზრუნავს თავის კეთილდღეობასა და საკუთრებაზე, ვიდრე სხვაზე.

## 10. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

პოლიტიკური საზოგადოების პირობებში,

- (ა) ყოველი ადამიანი თავად არის მოსამართლეც და აღმასრულებელიც.
- (ბ) ნაკლებად ირღვევა წესები სახელმწიფო კანონმდებლობის არსებობის გამო.
- (გ) ბოროტმოქმედისათვის სასჯელის განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი დაზარალებულს ენიჭება.
- (დ) სახელმწიფოს კანონმდებლობა მხოლოდ მის წევრებზე ვრცელდება.
- (ე) ბუნებითი კანონები ჩანაცვლებულია საზოგადოების მიერ დადგენილი კანონებით.



11. ჩამოთვლილთაგან რომელი არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) ბუნებითი კანონის მიხედვით გამოტანილი მსჯავრი ყოველთვის უფრო მკაცრია, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოებაში კანონდამრღვევისათვის მიყენებული სასჯელი.
- (ბ) ბუნებითი კანონი ადამიანს აძლევს საშუალებას თავად გამოიტანოს მსჯავრი დამნაშავეს მიმართ, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებაში მსჯავრი დადგენილი კანონმდებლობით განისაზღვრება.
- (გ) სასჯელს ექვემდებარება როგორც ბუნებითი კანონის, ისე სამოქალაქო წესების წინააღმდეგ მიმართული ქმედება.
- (დ) სამოქალაქო საზოგადოებაში კანონის აღსრულება სპეციალურად შერჩეული ადამიანთა ჯგუფის მიერ ხდება, ხოლო ბუნებით კანონს ადამიანი საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით აღასრულებს.
- (ე) საზოგადოება იმ შემთხვევაშია სამოქალაქო, თუ მას უარი აქვს ნათქვამი ბუნებით კანონზე და საზოგადოების მიერვე დადგენილი კანონებით ხელმძღვანელობს.

12. ტექსტის მიხედვით, ადამიანები სამოქალაქო საზოგადოებას ქმნიან იმიტომ, რომ:

- (ა) სამოქალაქო საზოგადოებაში მოქმედი კანონების მიხედვით უფრო კარგადაა დაცული პირადი საკუთრება.
- (ბ) სამოქალაქო საზოგადოებაში მოქმედი კანონების მიხედვით დანაშაულზე რეაგირება უფრო ოპერატიულად ხდება.
- (გ) სამოქალაქო საზოგადოებაში დამნაშავისათვის სასჯელის განსაზღვრა უფრო ობიექტურად, მიუკერძოებლად ხდება.
- (დ) სამოქალაქო საზოგადოებაში ადამიანს შეუძლია ბუნებითი კანონის აღმასრულებელი გახდეს.
- (ე) სამოქალაქო საზოგადოებაში უფრო ნაკლები დანაშაული ხდება.

13. როგორია ავტორის დამოკიდებულება ტექსტში წარმოდგენილი ძირითადი საკითხის მიმართ?

- (ა) ავტორი უარყოფითად აფასებს ადამიანის მიერ ბუნებითი კანონების აღსრულების უფლებაზე უარის თქმას და მის გადაცემას საზოგადოებისათვის.
- (ბ) ავტორი უფრო დადებითად აფასებს ადამიანთა სამოქალაქო საზოგადოებას, ვიდრე ადამიანთა ცხოვრებას ბუნებითი კანონით.
- (გ) ავტორი უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ ბუნებითი კანონით ხელმძღვანელობს.
- (დ) ავტორის დამოკიდებულება უარყოფითია როგორც ბუნებითი მდგომარეობის, ისე სამოქალაქო საზოგადოების მიმართ.
- (ე) ავტორის დამოკიდებულება ძირითადი საკითხის მიმართ ტექსტში არ არის გამოკვეთილი.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

14. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) წარმოდგენილია მაგალითები წინა აბზაცში გამოთქმული ძირითადი აზრის საილუსტრაციოდ.
- (ბ) გაკრიტიკებულია ძირითადი საკითხის გადაწყვეტის გზები.
- (გ) შეჯამებულია ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.
- (დ) წარმოდგენილია წინა აბზაცში გამოთქმული აზრის საპირისპირო მოსაზრება.
- (ე) წამოჭრილია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული ახალი საკითხი.

## ტექსტი №3

ფრინველების მიგრაცია, ცხოველების მიგრაციის მსგავსად, გულისხმობს გადაადგილებას ან გადასახლებას, რაც დაკავშირებულია კლიმატურ, ეკოლოგიურ, საკვები პირობების ან გამრავლების თავისებურებებთან.

ფრინველთა მიგრაციას უძველესი დროიდან აკვირდებიან მეცნიერები, თუმცა დღემდე მიგრაციის მიზეზებისა და გადაფრენის ინსტინქტის შესახებ ორნითოლოგიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ფიქრობენ, რომ გადაფრენის მნიშვნელოვანი მიზეზია ზამთრობით საკვების ნაკლებობა ჩრდილოეთში და მისი სიუხვე სამხრეთში. სხვა მოსაზრებით, გადაფრენას განაპირობებს გამრავლების ინსტინქტი, ცხოვრების ნირისა თუ ეკოლოგიური პირობების თავისებურებანი. ფრინველები, რომლებიც მარცვლოვნებით იკვებებიან, უფრო ახლო მანძილზე მიფრინავენ, მწერიჭამიები – უფრო შორს, სამხრეთისაკენ, წყალმცურავნი – გაუყინავი წყლისაკენ. ზოგიერთი სახეობის დედლები მამლებზე უფრო სამხრეთით იზამთრებენ და ა. შ.

ორნითოლოგები ფრინველებს მობილობის მიხედვით ყოფენ **გადამფრენ, მომთაბარე და მოზინადრე** კატეგორიებად.

**გადამფრენ ფრინველთა** მრავალი სახეობა ყოველწლიურად აწარმოებს სეზონურ მიმოფრენას: გაზაფხულზე – სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ხოლო შემოდგომაზე – პირიქით. **მომთაბარე ფრინველებსაც** შეუძლიათ დიდ მანძილზე მოგზაურობა; ზამთრის სეზონის დროს ისინიც მიფრინავენ სამხრეთისაკენ, მაგრამ შემდეგ ერთ, მუდმივ ადგილს კი არ უბრუნდებიან, არამედ რომელიმე უახლოეს, მათთვის ხელსაყრელ რეგიონში ჩერდებიან. **მოზინადრე** ფრინველები კი მთელი წლის განმავლობაში მშობლიურ ადგილებში რჩებიან.

თეორიები გადამფრენი ფრინველების გაჩენისა და მათი „სამშობლოს“ შესახებ **ტომსონმა** სამ ჯგუფად დაყო:

I. გადამფრენი ფრინველების თავდაპირველი სამშობლო ის ადგილია, სადაც ისინი ბუდობენ ბარტყების გამოსაჩეკად. ისინი თავის დროზე გამყინვარებამ აიძულა, სამხრეთით გადაენაცვლათ, მაგრამ ყოველ გაზაფხულზე, ყინულის ლღვობისას, კვლავ უბრუნდებოდნენ მშობლიურ ადგილს გასამრავლებლად. ასე იქცნენ ისინი გადამფრენ ფრინველებად.

II. გადამფრენი ფრინველების თავდაპირველი სამშობლო ის ადგილია, სადაც ისინი ბუდობენ და მრავლდებიან. გამყინვარების გამო მათ სამხრეთით გადაინაცვლეს და იქ მოზინადრე ფრინველებად იქცნენ. როდესაც გამყინვარებამ უკან დაიხია, მათ დაიწყეს სამშობლოში დაბრუნება ბარტყების გამოსაჩეკად. ასე გახდნენ ისინი გადამფრენები.

*ტექსტის გაგრძელება ->*

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

III. გადამფრენი ფრინველების თავდაპირველი სამშობლო ის ადგილია, სადაც ისინი დღეს იზამთრებენ. ისინი გადამფრენი გახდნენ მას შემდეგ, რაც ამ ადგილებში ინტენსიურად გამრავლდნენ ფრინველები. ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ, ჩრდილოეთით აეთვისებინათ ის ახალი ტერიტორიები, რომლებიც გამყინვარების დამთავრების შემდეგ გათავისუფლდა.

გადამფრენი ფრინველები უმეტესად ბინადრობენ დედამიწის ზომიერ და ცივ სარტყლებში – ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც მომთაბარე და მობინადრე ფრინველების სახეობები მცირეა. რაც უფრო სამხრეთისაკენ ვინაცვლებთ, რაოდენობრივი მაჩვენებელი მობინადრე ფრინველთა სასარგებლოდ იცვლება. თუმცა არსებობს სამხრეთის გადამფრენ ფრინველთა სახეობები, რომლებიც გვალვის დროს მიფრინავენ კლიმატურად უფრო ხელსაყრელ რეგიონში, მაგალითად, მადაგასკარის კუნძულიდან აფრიკის კონტინენტზე, სადაც ძლიერი წვიმების პერიოდის დაწყებამდე რჩებიან.

აღსანიშნავია, რომ ყველა ფრინველი ფრენით არ მიგრირებს. მაგალითად, ანტარქტიდაში პინგვინთა ბევრი სახეობა ცურვით გადაადგილდება ათას კილომეტრამდე მანძილზე, საიმპერატორო პინგვინი კი გამრავლების ადგილისაკენ ხმელეთზე „ფეხით“ ხანგრძლივად მოძრაობს. გვალვის დროს ასევე „ფეხით“ მიგრირებს ავსტრალიური ემუ.

საქართველოზე გადის ფრინველთა მიმოფრენის ორი გზა: ე. წ. შავი ზღვის დერეფანი და მტკვრის ხეობა. პირველი იწყება სკანდინავიიდან და რუსეთიდან და შავი ზღვის სანაპიროს გავლით ატარებს ფრინველებს მცირე აზიისა და აფრიკისაკენ. მეორე გზა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოზე გადის, იწყება ვლადიკავკაზის მხრიდან, გადადის გუდაურის უღელტეხილზე, მიჰყვება მდ. არაგვს, შემდეგ მდ. მტკვარს და გრძელდება აზერბაიჯანსა და ირანში თალიშის მთებამდე.

შავი ზღვის მარშრუტზე მდებარეობს ე. წ. ბათუმის ძაბრი, რომლითაც ყოველწლიურად აგვისტო-ნოემბრის შუალედში მილიონამდე ფრინველი გადაიფრენს. მანამდე ფართოდ გაშლილი ფრინველთა ქარავნები ბათუმის მიდამოებში ცდილობენ ზღვასა და მთებს შორის არსებულ ვიწრო დერეფანში – „ძაბრში“ – გაიფრინონ, რადგან იქ არსებული ჰაერის თბილი ნაკადი მათ ფრენაში ეხმარება.

მსოფლიოში ფრინველთა ყველაზე დიდი გადაფრენის ადგილია ვერაკრუზი (მექსიკა), რომელიც ვიწრო ხიდივით არის ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას შორის 10 მილიონზე მეტი ფრინველისათვის. მეორე ადგილზეა ისრაელის ქალაქი ეილათი, სადაც ევრაზიიდან აფრიკაში მიმავალი 3 მილიონამდე ფრინველი გადაიფრენს. ბათუმის „ძაბრი“ კი სიდიდით მესამეა მსოფლიოში.

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) მოგვაწოდოს ინფორმაცია ფრინველთა მიმოფრენის მარშრუტების შესახებ.
- (ბ) მიმოიხილოს ფრინველთა გადაფრენის მიზეზები, ფორმები და გზები.
- (გ) განსაზღვროს მობილობის მიხედვით ფრინველთა კატეგორიები.
- (დ) წარმოაჩინოს ფრინველთა გადაფრენის მნიშვნელობა ეკოლოგიის თვალსაზრისით.
- (ე) გაგვაცნოს თეორიები ფრინველთა გადაფრენის მიზეზების შესახებ.

16. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული ტექსტის მიხედვით?

- (ა) ყველა ფრინველი სეზონურად იცვლის საცხოვრებელ ადგილს.
- (ბ) არც მობინადრე და არც მომთაბარე ფრინველებს არ აქვთ სეზონური მიმოფრენის ჩვევა.
- (გ) მობინადრე ფრინველებს აქვთ სეზონური მიმოფრენის ჩვევა.
- (დ) ფრინველთა მიგრაციას განაპირობებს როგორც ინსტინქტები, ისე გარემო პირობები.
- (ე) მიგრაციის მთავარი მიზეზი ამა თუ იმ რეგიონის ეკოლოგიური პირობების თავისებურებებია.



17. ორნითოლოგ ეკარდტის მოსაზრებით, ფრინველების სეზონური გადაფრენა გამყინვარებამდე დაიწყო. ტომსონის კლასიფიკაციის მიხედვით, თეორიათა რომელ ჯგუფს განეკუთვნება მისი მოსაზრება?

- (ა) მხოლოდ I-ს
- (ბ) მხოლოდ II-ს
- (გ) მხოლოდ III-ს
- (დ) მხოლოდ I-სა და II-ს
- (ე) არცერთს

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

18. ტომსონის მიერ კლასიფიცირებულ თეორიათა შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრებაა მცდარი?

- (ა) I და II ჯგუფის თეორიათა ავტორებს გადამფრენ ფრინველთა სეზონური მიმოფრენის დაწყების დროსთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი აქვთ.
- (ბ) III ჯგუფის თეორიათა ავტორები გადამფრენ ფრინველთა თავდაპირველ სამშობლოდ მიიჩნევენ ტერიტორიებს, სადაც ისინი გამყინვარების დამთავრებამდე ცხოვრობდნენ.
- (გ) I და II ჯგუფის თეორიათა ავტორები თანხმდებიან გადამფრენ ფრინველთა თავდაპირველი სამშობლოს ადგილმდებარეობის განსაზღვრაში.
- (დ) სამივე ჯგუფის თეორიათა მიხედვით, ფრინველთა სეზონური მიმოფრენა დაიწყო გამყინვარების დამთავრების შემდეგ.
- (ე) II და III ჯგუფის თეორიათა ავტორებს გადამფრენ ფრინველთა თავდაპირველი სამშობლოს ადგილმდებარეობის შესახებ განსხვავებული აზრი აქვთ.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

19. ტექსტის მიხედვით, ფრინველთა რომელი ქცევაა წარმოდგენილი სწორად?

- (ა) აფრიკის ბინადარი ფრინველები ძლიერი წვიმების სეზონზე მადაგასკარის კუნძულზე მიფრინავენ.
- (ბ) მობინადრე ფრინველები, რომლებიც თბილ სარტყელში ცხოვრობენ, კლიმატური პირობების გამო მიგრირებენ.
- (გ) ზოგიერთი ფრინველი მიგრირებს არა საჰაერო გზებით, არამედ ხმელეთით.
- (დ) გამოსაზამთრებლად ყველა სახეობის დედალი ფრინველი უფრო თბილ კლიმატს ირჩევს, ვიდრე მამალი.
- (ე) ფრინველები, რომლებიც მარცვლოვნებით იკვებებიან, გამოსაზამთრებლად მწერიჭამიებზე უფრო შორს მიფრინავენ სამხრეთით.

20. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი ტექსტის მიხედვით?

- (ა) გადამფრენი ფრინველები, უმეტესწილად, ცივ და ზომიერ სარტყლებში ბინადრობენ.
- (ბ) ფრინველთა მიმოფრენის გზა – შავი ზღვის დერეფანი – უფრო მასშტაბურია, ვიდრე მტკვრის ხეობა.
- (გ) გადამფრენი ფრინველები მშობლიურ ადგილებს უბრუნდებიან, მომთაბარენი კი საბინადროდ უახლოეს მოსახერხებელ ადგილს ირჩევენ.
- (დ) ცხოველები ყოველთვის „ფეხით“ მიგრირებენ, ფრინველები კი – ფრენით.
- (ე) როგორც ცხოველთა, ასევე ფრინველთა ზოგიერთი სახეობა დასახლების ადგილებიდან მიგრირებს.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

21. ჩამოთვლილთაგან რომელშია წარმოდგენილი სწორად ფრინველთა გადაფრენის მარშრუტი?

- (ა) სკანდინავია/რუსეთი – ბათუმის „ძაბრი“ – მცირე აზია/აფრიკა
- (ბ) ჩრდილოეთი ამერიკა – მექსიკა – აფრიკა
- (გ) ვლადიკავკაზი – გუდაურის უღელტეხილი – ირანი – აზერბაიჯანი
- (დ) ცივი სარტყელი – ეილათი – ზომიერი სარტყელი
- (ე) ვერაკრუზი – ევროპა/აზია – ეილათი

# ტესტის დასასრული

ტესტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტესტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტესტი №3	15	16	17	18	19	20	21
----------	---	---	---	---	---	---	---	----------	---	---	----	----	----	----	----	----------	----	----	----	----	----	----	----